

## „მეფე ერეკლე - ხელნაწერებით გაცოცხლებული ისტორია“

### მამაცთა შორის საკვირველება

დამიჯერეთ, მე ის კაცი ვარ, ვისაც ნეტარად ხსენებულმა ბატონმა ერეკლემ თავისი ძვირფასი იარაღის სამეფო კოლექცია ანდო. ვენაცვალე მის სახელსა, არც შემცდარა. თვალის ჩინივით ვუფრთხილდები, ვწმენდ და ვაპრიალე, თავს ვეველები მეფის იარაღს. სულ ოქრო-ვერცხლთ მოპირკეთებული თოფ-იარაღია: ხევსურული ხმალი ყაწიმით და სავადითა, სულ სადა ოქრო. ვერცხლის საპირისწამლე, ფრანგული თოფი სალტეზე ხით გაწყობილი, დამბაჩაც აქ არის, დურბინიც. მეფის სიამაყე - ჯავარდნის ხმალი. უკვე მერამდენედ ვკითხულობ მის ხმალზე წარწერას: „მე ხმალი ვარ მონად და ანგელოზი უმაღლესი მთავარსარდლის ერეკლეს თანამგზავრი“. ეს ხმალი მისთვის ჯვარიც იყო და იარაღიც.

თუ თქვენ ჩემგან სხვა ამბების გაგებაც გწყურიათ მეფეზე, მაშინ ყური დამიგდეთ და თვალეში მიყურეთ. უნდა დავრწმუნდე, რომ მართლაც ჩემიანები ხართ და თვალეშიც ისეთი ნაპერწკალი გიკიაფებთ, როგორც ეს ნამდვილ ქართველებს გვჩვევია. მე ჩემი ბატონის სახელის ხსენებაზე სასიამოვნო ჟრუანტელი მივლის, სისხლი მარღვევში მიჩქროლდება და სიამაყით ვივსები. აი, თქვენი კი არ ვიცი, რა ხასიათზე დგებით მეფე ერეკლეს ხსენებაზე?!

მაშ კარგად მისმინეთ, ერეკლეს გამირობამ მალე აალაპარაკა აღმოსავლეთიც და დასავლეთიც, მტერიც და მოყვარეც. არ შემცდარა ოსმალთა სულთანი პატარა კახს „აშვებული ლომი“ რომ უძახა. არც ის ფრიდრიხი „დიდად“ წოდებული, აჭარბებდა ჩემს ბატონზე „დასავლეთში მე ვარ, აღმოსავლეთში ერეკლე“. არაფერს ვამტკიცებ, თუ გინდათ ისტორიის წიგნებში გადაამოწმეთ!

ერთი კი ვიციტ დარწმუნებით, რომ მეფე ერეკლეს მარჯვენა მხარ-მკლავი უფრო დიდი ჰქონდა ხმლის ქნევისაგან.

ვინ უწყოდა, თუ რა ბედისწერა დაჰყვებოდა მეფე თეიმურაზ I-ის ვაჟს, რომელიც თელავის სასახლეში 7 ნოემბერს, 1720 წელს მოევლინა ქვეყნიერებას. დედა-დედოფალი თამარი თვალცრემლიანი მადლობას სწირავდა თურმე უფალს ვაჟისთვის.

არადა „წა-ლეკვა“ ემუქრებოდა კახეთს, თარეში გარდაუვალი იყო. ამიტომაც, ხუთი წლის ერეკლე მშობლებმა თელავიდან ფშავში გახიზნეს. ციხე-სიმაგრეში უნდა გაზრდილიყო მეფისწული უზრუნველად, მაგრამ, სამწუხაროდ, ლეკიანობის გამო გლეხურ და მწყემსურ საცხოვრებლებში უხდებოდათ თავშესაფრის ძებნა.

ადრეული ასაკიდან შეეჩვია მეფე-ბატონი ფარიკაობას, საომარი იარაღის ხმარებას, ცხენოსნობას. პირველი საბრძოლო ნათლობაც, კარგად მახსოვს 15 წლისამ ლეკებთან მიიღო. ჩემი ყურით მომისმენია ერეკლე შვილიშვილს

მოუთხოვრებდა: ჩემს სიყმაწვილეში ისეთი უბედურება ტრიალებდა ქვეყანაზე, რომ ქვებიც კი ტიროდნენო.

აი, რამდენიმე ბრძოლაც გავიხსენოთ: 1750 წელი- ბრძოლა ლეკებთან დანდისთან.1751 წელი- აზატ-ხანის განადგურება 1755 წელი- ბრძოლა ყვარელთან. და ბევრი დიდი თუ მცირე ომი აწყურთან, ასპინძასთან, ჩხერთან, ომარ-ხანთან, ავად სახსენებელი კრწანისის ბრძოლა... ერეკლე მეფე თბილისში აღარ დაბრუნებულა, თელავში დამკვიდრდა.

ამდენ ხანს გაუთავებელი ბრძოლების მომსწრეს ერთი კითხვა მიტრიალებს თავში: რა მოხდებოდა, რომელსამე ფიცხელ ბრძოლაში რომ ემტყუნა პატარა კახისთვის იმ თავის ხმალსა? ღმერთო დაგვიფარე! ეს ხმალი შაჰ ნადირმა უბოძა ერეკლეს მალაჩის დამარცხების შემდეგ არაგვზე. განა მარტო ხმალი?! ძვირფას, მოჭედილ ხმალთან ერთად რჩეული ცხენიც მიართვა ოქროს აღკაზმულობითა.

კიდევ ბევრი მაქვს ჩემს მეფეზე სათქმელი. მეფეზე, რომელმაც დაუცხრომელი ცხოვრებით იბრძოლა თავისი ერისათვის.

ახლა კი თქვენ იცით და თქვენმა ბიჭობამ!

„ჰერო ბიჭებო, ჰერო,

არ გაახაროთ მტერიო“.

ავტორი: ლევანი ახალაია

ქ. ზუგდიდის რაიონი სოფ. განმუხურის საჯარო სკოლა

XI კლასის მოსწავლე